შეთანხმება სავაჭრო ცენტრში არსებული ფართის ქვეიჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 1 აგვისტო 2019 წ.

ერთი მხრივ, სს "თბილისი ცენტრალი" (შემდგომში "ქვემეიჯარე") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ლევან ყარალაშვილის** (პ/ნ: 01024004043) მიერ და

მეორე მხრივ, **შპს "ლაქი გეიმ"** (შემდგომში "ქვემოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ლაგვილავას (პ/ნ: 01012010070) მიერ, თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1 შეთანხმების საგანია „ქვემეიჯარესა" და „ქვემოიჯარეს" შორის 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში „სავაჭრო ცენტრში არსებული ფართის ქვეიჯარის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") (საკადასტრო კოდი: 01.16.01.005.107.001.266, საჯარო რეესტრში განცხადების რეგისტრაციის №882012005561) ცვლილებების შეტანა, კერძოდ ხელშეკრულების 3.1 და 13.1 პუნქტების შეცვლა.

1.2 მხარეები თანხმდებიან შეიცვალოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„3.1. ყოველთვიური ქირის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს:
32 291 (ოცდათორმეტი ათას ორასოთხმოცდათერთმეტ) ლარს."

1.3 მხარეები თანხმდებიან შეიცვალოს ხელშეკრულების 13.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„13.1. ხელშეკრულება ჩაითვლება გაფორმებულად მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს **2026 წლის 31 დეკემბრამდე**."

1.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა და დებულება დარჩეს უცვლელი.

1.5 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მას გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა იმავე საკითხზე მხარეთა შორის მანამდე გაფორმებულ ზეპირ და წერილობით გარიგებებზე.

1.6 შეთანხმება ძალაში შედის **2019 წლის 1 აგვისტოდან** და მოქმედებს ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადით.

1.7 შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი საჯარო რეესტრისთვის და დანარჩენი ორი - ორივე მხარისთვის.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

"ქვემეიჯარე"
სს "თბილისი ცენტრალი"

ს/კ: 205 129 653
მის.: ქ. თბილისი, რკინიგზის ცენტრ. ვაგზალი, ნაკვ. 05/107

გენერალური დირექტორი
ლევან ყარალაშვილი

უფლებამოსილი წარმომადგენელი
მერი ჯაფარიძე (№01009017376)

"ქვემოიჯარე"
შპს „ლაქი გეიმ"

ს/კ: 204 572 934
იურ. მის.: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №6, მე-4 სართ.

დირექტორი
ლევან ლაგვილავა